დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 12. კვირა, 17 იანვარი 1910 წ. დამატების № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტენტაჟილის სიკვდილი.

პიესა ხუთ მოქმედებად

მორის მეტერლინგისა.

მოქმედნი პირნი:

ტენტაჟილ
იგრენა) ტენტაჟილის დები
ბელანჟერა)
ავლოვალ
სამი მოსამსახურე დედოფლისა.

მოქმედება პირველი.

ბორცვის მწვერვალზე, რომელიც ძირს ციხეს დაჰყურებს

(შემოდიან ხელი-ხელ ჩაკიდებულები იგრენა და ტენტაჟილ).

იგრენა. ტენტაჟილ! ამ პირველ ღამეს აქ ცუდად გაატარებ. ზღვა გრგვინავს და ხეებიც ჰკვნესიან, თითქო ვიღაცას უჩივიანო... გვიანაა... საცაა მთვარე მოეფარება ალვის ხეებს, ამ ციხეს რომ გარშემოვლებიან... შეიძლება ჩვენ აქ მარტონიც ვიყვნეთ, მაგრამ მაინც სიფრთხილე გვმართებს. ვგონებ, აქ უმცირეს ბედის მოახლოვებასაც კი უდარიელებენ, ერთხელ გულის სიღრმეში ჩავითქვი—ისე რომ ღმერთსაც ძლივს შეეძლო გაეგონა, —ვუთხარი ჩემს თავს, ვბედნიერდები მეთქი... ამისი თქმა იყო და რამდენიმე ხნის შემდეგ მოგვიკვდა მოხუცი მამა, ხოლო ჩვენი ორივე ძმა სადღაც გაჰქრა... ახლაც არც ერთს ადამიანის შვილს არ შეუძლიან გვითხრას, თუ სად არიან ჩვენი ძმები... და, აი, მარტოდ-მარტო ვარ ჩემის საწყალ დითა და შენით, ჩემო პატარა ტენტაჟილ... ამიტომ მომავალს ვერ მივენდობი... მაკოცე, შენის პატარა ხელებით ყელზე მომეხვიე... იქნება, ეგ ხელები ვეღარავინ მომაშოროს... გახსოვს, საღამოობით როგორ გატარებდი ხოლმე უფანჯრებო გძელ ტალანებში, შენ რომ ჩემი სანათის ჩრდილისა გეშინოდა... როცა დღეს დილით ხელახლა ვნახე უცებ ვიგრძენ, ჩემი სული როგორ შეთრთოლდა. შორს მეგონე, უშიშარ ადგილას... აქ ვინ მიგიყვანა?

ნინო ფმიდა.

ტენტაჟილ. არ ვიცი, დაო.

იგრენა. არ გახსოვს, რაზედ ლაპარაკობდნენ?

ტენტაჟ. წასვლაზე... უნდა გზას გაუდგეთო...

იგრენა. რათაო?

ტენტაჟ. ამიტომ, რომ დედოფალს ასე სურსო...

იგრენა. არა სთქვეს ,დედოფალს ეს რათა სურს?.. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრ რასმეზე ილაპარაკებდნენ...

ტენტაჟ. არა გამიგონიარა, დაო.

იგრენა. რაზე მუსაიფობდნენ?

ტენტაჟ. ჩუმად ლაპარაკობდენ, დაო.

იგრენა. ყოველთვის?

ტენტაჟ. ყოველთვის, იგრენა, იმ შემთხვევათა გარდა, როცა მე შამომხედავდნენ ხოლმე.

იგრენა. დედოფალზე არაფერს ამბობდნენ?

ტენტაჟ. დაო იგრენა, ასე იძახდენ-დედოფალი არ გვინახავსო.

იგრენ. გემზე შენი თანამეგზაურნი არაფერზე ლაპარაკობდენ?

ტენტაჟ. დაო იგრენა, ისინი მხოლოდ ქარის ქროლვას უგდებდნენ ყურს და აფრებს შეჰყურებდნენ.

იგრენა. ეგ არ მაკვირვებს, ჩემო ბავშვო.

ტენტაჟ. მე ყოველთვის მარტო მტოვებდნენ, დაო.

იგრენა. მომისმინე ტენტაჟილ გიამბობ იმას, რაც ვიცი.

ტენტაჟ. რა იცი, დაო?

იგრენა. ცოტარამ, ბავშვო ჩემო... ჩვენი დაბადების დღის აქეთ ორივე დაქა ვცხოვრობდით, არა გვქონდა ნება გაგვეგო, რა ხდებოდა აქ. მე დიდხანს ვიყავ ამ კუნძულზე ბრმასავით, ყველაფერი ბუნებრივად მეჩვენებოდა. ჩემს ირგვლივ მხოლოდ ფრინველთა ფრენას, ფოთოლთა შრიალს და ვარდთა გაფურჩქნას ვამჩნევდი... ისეთი სიჩუმე იყო, რომ ბუჩქნარ ბაღში ჩავარდნილი მწიფე ხილი რაღასაც გვაგრძნობინებდა და მაშინვე ყველანი ფანჯრებს მივარდებოდით ხოლმე... თითქოს ეშვი არავის არაფრისა ჰქონდა. მხოლოდ ერთხელ ღამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივხვდი, რომ აქ უთუოდ სხვა რაღაცა იყო... მინდოდა გავქცეულიყავ, მაგრამ ვერ შევძელ... მიხვდი, რაც გითხარ?..

ტენტაჟ. დიახ, დიახ, ჩემო დაო, მესმის, რაც უნდათ ჩემგან...

იგრენა. მაშ, ნულარ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც ვიცით... ხედავ იქ გამხმარ ხეებს, ცის ტატნობს აბუნდებენ. ამჩნევ ციხეს იქ, ძირს, ველის დაბლობში...

ტენტაჟ. აგერ შავად რომ მოსჩანს, დაო იგრენა?

იგრენა. ჭეშმარიტად ის შავია... თვით წყვდიადის სიღრმეშია, და ჩვენ იძულებულნი ვართ, იქ ვიცხოვროთ... შეეძლოთ იგი მაღალ გორების მწვერვალოზე დაედგათ, იმ გორებისა, რომელიც მას წრედ შემოვლებიან... დღისით გორები მოლურჯოთ გამოჭკრთიან... ამოსუნთქვაც სუბუქია... იქიდან, კლდეებს გადაღმა გამოჩნდებოდა ხოლმე ზღვა, ველ-მინდორი. მაგრამ იმათ ციხის აკება ამჯობინეს ძირს, დაბლობში. ჰაერიც კი არა მოძრაობს იქ... ინგრევა ციხე-დარბაზი და ამაზე არავინა ზრუნავს... კედლები მიწაში იფლობა და შეიძლება ითქვას, წყვდიადში ილევაო. კოშკს ვერას აკლებს მხოლოდ დრო-ჟამი... კოშკი უზარ-მაზარია, და სახლიც იმის ჩრდილოშია შეფარებული...

ტენტაჟ. იქ რაღაც ანათებს, დაო იგრენა... ხედავ, ხედავ ვეებერთელა ფანჯრებს?

იგრენა. კოშკის ფანჯრებია, ტენტაჟილ! შუქს მხოლოდ იქ იხილავ. სწორედ მანდვეა სამეფო ტახტი დედოფლისა.

ტენტაჟ. დედოფალს ვერა ვნახავ?

იგრენა. იმას ვერავინ ნახავს.

ტენტაჟ. რატომ არ შეიძლება მისი ნახვა?

იგრენა. მომიახლოვდი, ტენტაჟილ... აიც ერთმა ფრინველმა, არც ერთმა მცენარემ ჩვენი ლაპარაკი არ უნდა გაიგონოს...

ტენტაჟ. აქ მცენარე არა სჩანს, დაო... (სიჩუმე). მერე და რას აკეთებს დედოფალი?

იგრენა. არავინ იცის, ბავშვო ჩემო, არავის ეჩვენება... თავის კოშკში მარტოდ-მარტო სცხოვრობს. არც იმის მოსამსახურენი გამოდიან დღისით... დედოფალი ძალზე მოხუცია. იგი ჩვენი დიდედაა და უნდა მხოლოდ თვით ბრძანებლობდეს... ეჭვიანია და შურიანიო. ამბობენ, შეშლილიაო.. შიშობს, სხვამ არავინ დაიჭიროს იმის ადგილი და ტახტი არ ჩამოართვას. შიშია მიზეზი შენი აქ მოყვანისა... მისი ბრძანებანი სრულდება, მაგრამ როგორ, არავინ იცის... დაბლა არას დროს არ ჩამოდის და კოშკის ყველა კარი დაკეტილია... არასოდეს არ მინახავს იგი, მაგრამ, ალბად, სხვებს უნახავთ, როდესაც იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო...

ტენტაჟ. ძლიერ ულამაზოა, დაო ინგრენა?

იგრენა. ამბობენ, ულამაზოა, ულაზათო და საშინლად სქელიო. მაგრამ ვისაც უნახავს, მაზე ლაპარაკს ვერა ჰბედავს... მერე ნამდვილად კი უნახავთ? წარმოუდგენელისა და გაუგებარის უფლებითა მფლობელობს იგი. ჩვენ აქა ვცხოვრობთ, გულს მძიმე ლოდი დაგვწოლია და აღარ ველით შეწყალებასა... ნუ შეგეშინდება და ნურც გულში გაივლებ, რომ ძილში ცუდი არა დაგვესიზმროს-რა. ჩვენ დაგიფარავთ, ჩემო პატარა ტენტაჟილ, და ავი არაფერი მოგეკარება, მხოლოდ არ გამშორდე, არ მოსცილდე შენ დას ბელანჟერას, და ჩვენს მოხუცს მასწავლებელს აგლოვალის...

ტენტაჟ. აგლოვალისაც, დაო ინგრენა?

იგრენა. აგლოვალისაც... მას ვუყვარვართ.

ტენტაჟ. მერე ისეთი მოხუცია იგი, დაო!..

იგრენა. მოხუცია, მაგრამ დიდი ბრძენი. ერთად ერთი მეგობარი-ღა შეგვრჩა... მაგან ბევრი რამ იცის. საოცრებაა... შენი მოსვლა მან არავის შეატყობინა... არ მესმის ჩემი გულის ამბავი .. მოწყენილი ვიყავ და იმავე დროს მიხაროდა, რომ შორს იყავი, ზღვის გადაღმა... ეხლა-კი... გაოცებული დავრჩი... დღეს დილით გამოველ, რომ მენახა, მზემ წვერი ამოჰყო თუ არა გორებზე, ამდროს კარის ზღრუბლზე შენ კი გიხილე. მაშინვე გიცან...

ტენტაჟ. არა, არა, დაო, პირველად მე შემოგცინე.

იგრენა. არ შემეძლო მაშინვე გამეცინა... რატომ, ამას შემდეგ გაიგებ... დროა, ტენტაჟილ, ზღვას სიბნელე ეფინება... მაგრა მაკოცე... კიდევ, კიდევ, სანამ ადგებოდე. შენ არ გესმის, რა არის სიყვარული... მომეცი შენი პაწია ხელი... მაგრა დავიჭერ, გავუფრთხილდები და დიდ ციხე-კოშკში ერთად დავბრუნდეთ. (კადიან).

ფარდა.

მოქმედება მეორე

ოთახი ციხე-დარბაზში

(აგლოვალი და იგრენა. შემოდის ბელანჟერა)

ბელანჟერა. სადარის ტენტაჟილი.

იგრენა. აქ არის... მაგრე ხმა მაღლა ნუ ლაპარაკობ. აქვე სძინავს, მორე ოთახში. ცოტა ფერ-მკრთალია და ავადმყოფის შეხედულობა აქვს. ზღვაზე დაღლილა ხანგრძლივი მოგზაურობით... შეიძლება ამ ცახის დახშულმა ჰერმა დაჰრია ხელი იმის ქორფა სულს. ყოვლის უმიზეზოდ ტიროდა... ჩემს მუხლებზე ვარწევდი. ვულოლიავებდი... წადი, ნახე... ჩვენს ლოგინში წევს, მედიდურად სძინვს, შუბლზე ხელი მიუდვია, თითქო ნაღვლიანი მცირეწლოვანი მეფეაო...

ბელანჟ. (უცებ აქვითინდება) დაო... დაო... ჩემო საწყალო დაო...

იგრენა. რა მოხდა?

ბელანჟ. არ შემიძლიან ვსთქვა, რაც ვიცი... და არც დარწმუნებული ვარ, თუ ვიცი რამ... მაგრამ მაინც გავიგე, რის გაგებაც არ შეიძლეობდა...

იგრენა. მერე რა გაიგე?

ბელანჟ. კოშკის ტალანს გვერდზე ჩავუარე...

იგრენა. მერე?

ბელანჟ. ერთი კარი ცოტა ღია იყო, ფრთხილად ხელი ვკარი და შეველი.

იგრენა. სადა?

ბელანჟ. წინად იქ არას დროს არა ვყოფილვარ... იქ იყო სხვა ტალანებიც, ლამპრებით განათებული... დაბალი გალერიეები, რომელთაც გამოსასვლელი გზა არა ჰქონდათ.., ვიცოდი, შორს წასვლა აკრძალული იყო.,. შემეშინდა... უკან დაბრუნება განვიზრახე, როცა ოდნავი ჩურჩული შემომესმა...

იგრენა. უთუოდ დედოფლის მოსმასახურენი იქნებოდნენ... კოშკის ძირას სცხოვრობენ.

ბელანჟ. სწორედ არ ვიცი, ვინ იყო... უეჭველია, ჩვენ რამდენიმე კარი გვაშორებდა და ჩემამდის ხმა ისე აწევდა, გეგონებოდა, კაცს ახრჩობდნენ და მისი ხრიალი ისმისო... რაც შემეძლო, მივუახლოვდი... დარწმუნებული კი არავარ მაგრამ იგინი ოქროს გვირგვინსა და იმ ბავშვზედ ლაპარაკობდნენ, რომელიც დღეს მოვიდა... თითქოს იცინოდნენ კიდეც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა დ ო ნ ა, (ღვთის-მშობელი), — სურათი რაფაელისა.

იგრენა. იცინოდნენ?

ბელანჟ. დიახ, მგონია იცინოდნენ... თუ არა ტიროდნენ. შეიძლება სხვა რაღაც იყო და მე ვერ გავიგე, რადგან ხმა დაბლა ლაპარაკობდნენ და კარგად არ მესმოდა... მათი საუბრის ხმა თაღების გამოძახილს უერთდებოდა... ლაპარაკობდნენ ბავშვზე, რომელიც დედოფალს უნდა ენახა... ალბად, დღეს საღამოთი იმასთან ავლენ...

იგრენა. რაო? დღეს საღამოთი?

ბელანჟ. ჰო, ჰო! ვფიქრობ, ასე მოხდება...

იგრენა. არავინ დაუსახელებიათ?

ბელანჟ. ლაპარაკობდნენ ბავშვზე, სულ პატარა ბავშვზე...

იგრენა. აქ სხვა ბავშვები არ არიან...

ბელანჟ. ამ წუთს ხმა შეუმაღლეს. გავიგონე, ერთმა სთქვა: ჯერ ვგონებ დრო არ დამდგარაო...

იგრენა. მესმის, რას ნიშნავს ყველა ეს და კოშკიდან მათი გამოსვლაც პირველი არ იქნება... კარგად ვიცოდი, რისთვისაც ბრძანა მან ტენტაჟილის მოყვანა... მაგრამ არ მეგონა, თუ ასე აჩქარდებოდა!.. ვნახავთ... ჩვენ სამნი ვართ და როცა გვაქს...

ბელანჟ. რა გინდა ჰქმნა?

იგრენა. ჯერ არ ვიცი, რას ვიზავ, მაგრამ მას-კი გავაკვირვებ... და თქვენ იცით რა არის, თქვენ, რომელნიც სდგეხართ და ცახცახებთ... მე გეტყვით...

ბელანჟ. რას?

იგრენა. ადვილად ვერ ჩაიგდებს მას ხელში...

ბელანჟ. ჩვენ მარტონი ვართ, დაო, იგრენა...

იგრენა. დიახ, მართლა მარტონი ვართ, მაგრამ ამას ყოველთვის ვახერხებთ. დაჩოქილები ველოდოთ, როგორც მას ჯამსა... (ირონიულად) იქნება შეგვიბრალოს კიდეც... ჩვენმა ცრემლებმა გული მოულბოს... რასაც მოგვთხოვს, ყველაფერზე უნდა დავთანმხდეთ... იქნება გაიღიმოს კიდეც... იგი ჩვეულებრივ იმას იბრალებს, ვინც მუხლებში ჩაუვარდება... უკვე რამდენიმე წელიწადია, ამ უზარმაზარ კოშკში სცხოვრობს და ყველა ჩვენიანებს ეღეტს... ვერავინ ვერ უბედავს წინააღმდეგობს... საფლავის მძიმე ლოდივით დასწოლია ჩვენ სულს და ვერავინა ჰბედავს იმის აგლეჯას... მაშინ, როცა აქ ვაჟკაცნი იყვნენ, იმათაც კი ეშინოდათ და მაგის წინაშე პირქვე ემხობოდნენ... ეხლა რიგი დედაკაცებზე მოდგა... ვნახოთ... დროა მაინც აღვსდგეთ... არა, ვინ იცის, მისი ძლიერება რაზეა დაფუძნებული, და მეც იმის კოშკის ჩრდილში ცხოვრებას ველარ ავიტან... წა, წადით ორივენი, და მე მარტოდ-მარტო დამტოვეთ, რაკი თქვენ ასე ჰძრწით... უნდა ველოდო მას...

ბელანჟ. დაო, თუმცა არ ვიცი რა მოვიქმედო, მაგრამ მაინც შენთან დავრჩები...

აგლოვალი. მეც ვრჩები, ბავშვო ჩემო... ჩემს სულს დიდიხანია მოსვენება დაეკარგა... თქვენა სცადეთ... ჩვენ არა ერთხელ შევეცადენით...

იგრენა. ცდილობდით? თქვენ?..

აგლოვალი. ყველანი სცდილობდნენ... მაგრამ უკანასკნელ წუთს ღონე ეღეოდათ... თქვენ თითონ ნახავთ... იმან რომ დღეს საღამოთი მიმიხმოს, გულ-ხელს დავიკრებავ და სიტყვის შეუბრუნებლად, ჩემის მოქანცულ ფეხებით იმის კიბის საფეხურებზედ დინჯად ავალ, თუმცა ვიცი, რომ იქიდან თვალეს ახილული უკან არავინ დაბრუნებულა. იმის წინაშე ჩემი ვაჟკაცობა ჰქრება... ჩვენი ხელები აღარაფერს აღარ ემსახურებიან... აქ სხვანაირი ხელებია საჭირო... ყველაფერი გაჰქრა... მაგრამ მე მაინც მინდა შემოგეშველოთ, თუ თქვენ რისამე იმედი გაქვთ... დაჰკეტეთ კარები, ჩემო პატარა... ტენტაჟილი გააღვიძეთ... მოჰხვიეთ თქვენა შიშველა ხელები და მუხლებზე დაისვით... სხვაფრივ ხსნა არა გვაქს...

თამარ ნათიშვილი.

ფარდა.

(შემდეგი იქნება).

ქართველი თავადი. — აბა მამული, რა მამული! სულ იაფად ვყიდი...

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3